გამოცდების ეროვნული ცენტრი
ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფი

როგორ მოვემზადოთ მასწავლებლის საგნობრივი გამოცდისა და კომპეტენციის დასადასტურებელი ტესტირებისათვის

ქართული ენა და ლიტერატურა

2021

წინამდებარე კრებულის დანიშნულებაა გააცნოს საშუალო და საბაზო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს საგნობრივი გამოცდისა და კომპეტენციის დასადასტურებელი ტესტირების პროგრამა, 2021 წლისათვის დაგეგმილი სიახლეები, ტესტის ახალი ფორმატის ნიმუში და შეფასების კრიტერიუმები.

საგამოცდო კრებული წარმოადგენს „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ საკუთრებას და დაცულია საქართველოს კანონით „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“. „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ ნებართვის გარეშე დაუშვებელია ტექსტში რაიმე ცვლილების შეტანა, რეპროდუქცია, თარგმნა და სხვა საშუალებებით (როგორც ბეჭდვითი, ასევე ელექტრონული ფორმით) გავრცელება, აგრეთვე იკრძალება საგამოცდო კრებულების გამოყენება კომერციული მიზნებისათვის.

მასწავლებლების საგნობრივი გამოცდისა და კომპეტენციისა დასადასტურებელი ტესტირების პროგრამა

ა) ქართული ენა

I. შესავალი

1. ქართული ენა როგორც ქართველი ერის საერთო ეროვნული ენა და საქართველოს სახელმწიფო ენა. ქართული ენის ადგილი მსოფლიო ენათა შორის. ქართველური ენები. ქართული ენის როლი და მნიშვნელობა ქართველური ტომების ეროვნული და სახელმწიფოებრივი ჩამოყალიბების პროცესში.
2. ქართული სალიტერატურო ენის დასაბამი და მისი განვითარების ძირითადი ეტაპები. ქართული დამწერლობის ჩამოყალიბებისა და მწიგნობრობის განვითარების ძირითადი ეტაპები. ქართული სალიტერატურო ენის განვითარების პერიოდებად დაყოფის პრობლემა. ანტონ I და ქართული სალიტერატურო ენა. სამოციანელთა როლი ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრების საქმეში. თაობათა და შეხედულებათა ბრძოლა სალიტერატურო ენის განვითარების საკითხებზე.
3. თანამედროვე სალიტერატურო ქართული როგორც მრავალფუნქციური სახელმწიფო ენა – სრულფასოვანი კომუნიკაციის, მწერლობისა და მეცნიერების ენა.
4. ქართული სალიტერატურო ენა და ეროვნული ენა. ქართული ენის დიალექტები და სხვა ენობრივი ქვესისტემები – ქართული სალიტერატურო ენის გამდიდრების წყარო და ენობრივ ვარიანტულობათა ძირითადი მიზეზი. ნორმათა დადგენის პრინციპები. ნორმატიული მუშაობის დღევანდელი მდგომარეობა.

II. ფონეტიკა-ფონოლოგია

5. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ფონემური სტრუქტურა. ბგერა და ფონემა. ანბანი. ხმარებიდან გასული ასოები. ხმოვნები და თანხმოვნები. ხმოვანთა კლასიფიკაცია. თანხმოვანთა კლასიფიკაცია.
6. მარცვალი. ღია და დახურული მარცვალი. დამარცვლის საფუძველი და გადატანის წესები ქართულში.
7. ძირითადი ფონეტიკური მოვლენები.
8. სიტყვისა და ფრაზის მახვილის საკითხი ქართულ სალიტერატურო ენაში.

III. მორფოლოგია

9. სიტყვა. სიტყვა მორფოლოგიური თვალსაზრისით: ფორმაცვალებადი და ფორმაუცვლელი სიტყვები. სრულმნიშვნელოვანი და დამხმარე სიტყვები. გრამატიკული კატეგორიის რაობა. სიტყვის მორფოლოგიური აგებულება: ძირი, ფუძე, მორფემა (აფიქსები). აფიქსთა კლასიფიკაცია.
10. მეტყველების ნაწილების კლასიფიკაცია.
11. არსებითი სახელი. არსებით სახელთა დაჯგუფება შინაარსის მიხედვით. არსებით სახელთა ბრუნება. ბრუნვები და მათი ნიშნები. ბრუნვათა რიგი. ბრუნების ტიპები და მათი გამოყოფის საფუძველი. საკუთარ სახელთა ბრუნება. თავისებურად ბრუნებადი არსებითი სახელები. თანდებულიანი ბრუნვები. ადგილობითი (ლოკალური) ბრუნვების საკითხი. ნაწილაკიანი ბრუნვები.
12. არსებითი სახელის ბრუნებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები.
13. ზედსართავი სახელი. ვითარებითი და მიმართებითი ზედსართავი სახელი. თანხმოვანფუძიანი და ხმოვანფუძიანი ზედსართავი სახელის ბრუნება ცალკე და არსებით სახელთან ერთად პირდაპირი და შებრუნებული წყობით. ნათესაობითში დასმული სახელის ბრუნება არსებით სახელთან ერთად პირდაპირი და შებრუნებული წყობით.
14. ზედსართავი სახელის ბრუნებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები.
15. რიცხვითი სახელი. რაოდენობითი, რიგობითი და წილობითი რიცხვითი სახელები. რაოდენობითი რიცხვითი სახელი შედგენილობის მიხედვით. რიცხვითი სახელის ბრუნება ცალკე და არსებით სახელთან ერთად. ნაწილაკიანი რიცხვითი სახელი და მისი ბრუნება.
16. რიცხვით სახელთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები.
17. ნაცვალსახელი. ნაცვალსახელთა ჯგუფები. ნაცვალსახელთა ბრუნება ცალკე და არსებით სახელთან ერთად. ნაწილაკიან ნაცვალსახელთა ბრუნება.

18. ნაცვალსახელთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები.
19. ზმნა. ზმნის კატეგორიები. პირისა და რიცხვის ასახვა ზმნაში. პირის რომლობა, როგორობა. პირთა რაოდენობა ერთ ფორმაში. სუბიექტური და ობიექტური პირის ნიშნები. სუბიექტური და ობიექტური წყობა. ინვერსია და მისი საფუძველი. ზმნისწინი. მისი ადგილი და ფუნქციები. ზმნისწინის მარტივი და რთული სახეები. ზმნისწინის ძველი სახით ხმარება. უზმნისწინო ზმნები. დრო. გეზისა და ორიენტაციის საკითხი. კილო. ასპექტი. გზისობა. გარდამავლობა. დინამიკურობა-სტატიკურობა. გვარი. კონვერსია. ქცევა. გარდამავლობა და ქცევა. ქცევანაკლი ზმნები. კონტაქტი. კონტაქტი და გარდამავლობა. მწკრივი. მწკრივთა რაოდენობა და კლასიფიკაცია სერიათა მიხედვით. სერიებად დაყოფის საფუძველი. ზმნის ძირი, ფუძე და თემა. თემის ნიშნები. ერთთემიანი და ორთემიანი ზმნები. ფუძედრეკადი (ხმოვანმონაცვლე) ზმნები. თავისებური ზმნები. ზმნის უღვლილება.
20. ზმნის ფორმაწარმოებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები. შუალობითი კონტაქტის ფორმათა მართლწერა.
21. სახელზმნა: საწყისი და მიმღეობა. საწყისის (მასდარის) წარმოება. მიმღეობათა წარმოება. საწყისში და მიმღეობაში შემავალი ზმნის კატეგორიები. საწყისი და მიმღეობა როგორც სახელი.
22. ზმნიზედა. ზმნიზედათა დაჯგუფება ფუნქციისა (ადგილისა, დროისა, ვითარებისა, მიზეზისა, მიზნისა) და ფორმის მიხედვით. ზმნიზედის მართლწერა.
23. თანდებული. ცალკე მდგომი და სახელთან შერწყმული თანდებულები. ზმნიზედა თანდებულის მნიშვნელობით.
24. კავშირი. კავშირის სახეები. მაერთებელი და მაქვემდებარებელი კავშირები.
25. შორისდებული. შორისდებულთა ჯგუფები.
26. ნაწილაკი. ნაწილაკთა ჯგუფები.

IV. სინტაქსი

27. წინადადება როგორც სინტაქსური ერთეული.
28. სინტაგმის ცნება. სიტყვათა სინტაქსური შეკავშირების სახეები: შეთანხმება, მართვა, მირთვა. მართვისა და შეთანხმების სპეციფიკურობა ქართულში.
29. წინადადების მთავარი წევრები:
    ა) შემასმენელი. შემასმენლის კითხვები. მარტივი და შედგენილი შემასმენელი.
    ბ) ქვემდებარე. სინტაქსური ურთიერთობა ქვემდებარესა და შემასმენელს შორის.
    გ) პირმიმართი დამატებები. პირდაპირი და ირიბი დამატება და მათი სპეციფიკურობა ქართულში. სინტაქსური ურთიერთობა პირმიმართ დამატებებსა და შემასმენელს შორის.
30. წინადადების მეორეხარისხოვანი წევრები:
    ა) უბრალო დამატება. უბრალო დამატების ბრუნვები (უთანდებულო და თანდებულიანი). უბრალო დამატების სინტაქსური ურთიერთობა წინადადების სხვა წევრებთან.
    ბ) განსაზღვრება. შეთანხმებული, მართული და მართულ-შეთანხმებული განსაზღვრებები. არსებითი სახელის გამოყენება განსაზღვრებად (ადიექტივაცია) და პირუკუ, ზედსართავისა – ქვემდებარედ (სუბსტანტივაცია).
    გ) გარემოება. გარემოებათა კლასიფიკაცია: დროის, ადგილის, ვითარების, მიზეზისა და მიზნის გარემოებები. ბრუნვის ფორმები (უთანდებულო და თანდებულიანი), როგორც გარემოების გადმოცემის საშუალებები.
31. წინადადების ტიპები მოდალობის მიხედვით: თხრობითი, კითხვითი, ძახილისა, ბრძანებითი და კითხვა-ძახილისა. მათი გამოხატვის საშუალებანი: ინტონაცია, სიტყვათა წყობა, დამხმარე სიტყვები და ნაწილაკები.
32. წინადადების ტიპები აგებულების მიხედვით: მარტივი, შერწყმული და რთული.
33. მარტივი წინადადება. მარტივი წინადადების ტიპები წევრთა შემადგენლობის მიხედვით.
34. ერთშემადგენლიანი წინადადება. ერთშემადგენლიანი წინადადების ტიპები. არასრული წინადადების გარჩევა ერთშემადგენლიანი წინადადებისაგან. სახელდებითი წინადადება.
35. შერწყმული წინადადება. შერწყმული წინადადების ტიპები. ერთგვარ წევრთა შეერთების საშუალებანი: უკავშირო და კავშირიანი შეერთება. შემასმენლის შეთანხმება რიცხვში ერთგვარ ქვემდებარეებთან. ქვემდებარის ბრუნვა სხვადასხვა გვარის ზმნით გადმოცემულ ერთგვარშემასმენლიან წინადადებაში.
36. სიტყვათა წყობა წინადადებაში. სიტყვათა წყობის მნიშვნელობა სტილისტიკისათვის.
37. განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები.

38. წინადადებასთან გრამატიკულად დაუკავშირებელი სიტყვები. მიმართვა, შორისდებული, მიგებითი ნაწილაკები. ამ სიტყვებთან სასვენი ნიშნების გამოყენების წესები.
39. რთული წინადადება. თანწყობა (პარატაქსი) და ქვეწყობა (ჰიპოტაქსი).
40. რთული თანწყობილი წინადადება. შეერთების საშუალებანი (ინტონაცია, მაერთებელი კავშირები). თანწყობილ წინადადებათა აზრობრივი ურთიერთმიმართება. სასვენი ნიშნები რთულ თანწყობილ წინადადებაში.
41. რთული ქვეწყობილი წინადადება. დამოკიდებული წინადადების გარეგანი და შინაგანი ნიშნები. კითხვის დასმა, მაქვემდებარებელი კავშირები და სიტყვები. საკორელაციო სიტყვა მთავარ წინადადებაში. დამოკიდებულ წინადადებათა კლასიფიკაცია ადგილის, კავშირისა და ფუნქციის მიხედვით.
42. რთული ქვეწყობილი წინადადება ერთი ან რამდენიმე დამოკიდებული წინადადებით. ქვეწყობის სახეები.
43. სიტყვათა წყობა მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებაში. კავშირთა და საკორელაციო სიტყვათა ადგილი მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებაში. სასვენი ნიშნების სახეები და ადგილი რთულ ქვეწყობილ წინადადებაში.
44. შერეული სახის რთული წინადადება.
45. დამოკიდებული წინადადების წევრ-კავშირთა შეხამების ზოგი საკითხი მთავარი წინადადების ასახსნელ წევრთან.
46. სხვათა სიტყვა. პირდაპირი და ირიბი ნათქვამი. სხვათა სიტყვის ნაწილაკები. პირდაპირი და ირიბი ნათქვამის მნიშვნელობა სტილისტიკისათვის. სასვენი ნიშნის სახეები და ადგილი სხვათა სიტყვასთან. სხვათა სიტყვის მართლწერა.
47. მიზეზისა და მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებების აღრევის შემთხვევები.

V. ლექსიკოლოგია

48. ლექსიკოლოგიის საგანი, მისი ადგილი სხვა საენათმეცნიერო დისციპლინებს შორის. ენობრივი ნიშნის პრობლემა. ლექსიკური ერთეული. ლექსიკა. ლექსიკური ფონდი. ლექსიკოგრაფია.
49. სიტყვა მნიშვნელობის თვალსაზრისით. სიტყვის გამოყენება ძირითადი და გადატანითი მნიშვნელობით. სიტყვის მნიშვნელობის ცვლა ისტორიულად. მნიშვნელობის გაფართოება, დავიწროება და „პოლარიზაცია“. სიტყვის პოლისემიურობა. პოლისემია და ომონიმია. სინონიმია, ანტონიმია.
50. ფრაზეოლოგიზმები და იდიომები.
51. დიალექტიზმები, პროფესიული ლექსიკა, ჟარგონი, ბარბარიზმები, ნეოლოგიზმები, არქაიზმები.
52. ახალ სიტყვათა წარმოქმნის ძირითადი საშუალებანი. სიტყვაწარმოება როგორც ლექსიკოლოგიის საგანი. ძირეული და წარმოქმნილი სახელები. აფიქსური სიტყვაწარმოება. წარმოქმნილ სახელთა ჯგუფები მაწარმოებელი აფიქსებისა და შინაარსის მიხედვით. ფორმამაწარმოებელი აფიქსები სიტყვაწარმოებითი ფუნქციით. ბრუნვისა და თანდებულიან ბრუნვის ფორმათაგან წარმოქმნილი სახელები. ნასესხები აფიქსები.
53. თხზვა (კომპოზიცია) როგორც ლექსიკის გამდიდრების საშუალება. ფუძეგაორკეცება (რედუპლიკაცია). კომპოზიტები ფუძეთა შემადგენლობის მიხედვით. ერთცნებიანი და ორცნებიანი კომპოზიტები.
54. კომპოზიტების მართლწერის საკითხები.

VI. სტილისტიკა

55. სტილისტიკა როგორც ენათმეცნიერების დარგი. სტილისტიკის საგანი. სტილის რაობა.
56. ფუნქციური სტილისტიკა. მწიგნობრული და სასაუბრო სტილი.
57. პუბლიცისტური, მხატვრული, სამეცნიერო და ოფიციალურ-საქმიანი სტილი.
58. ლექსიკური სტილისტიკა. სიტყვათა შერჩევა მნიშვნელობის მიხედვით. პარონიმები, ევფემიზმები, თავაზიანობის გამომხატველი სიტყვები.
59. სტილისტიკური ხარვეზები: ტავტოლოგია, კალკი, ატროფია.

სარეკომენდაციო ლიტერატურის სია:

1. ავთანდილ არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2004.
2. შუქია აფრიდონიძე, ჩვენი ენა ქართული, თბ., 2002.
3. გიორგი ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1999.
4. თამაზ გამყრელიძე, წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა, თბ., 1989.
5. მარიამ თალაკვაძე, ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდიკა, თბ., 1959.
6. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბ., 1989.
7. ვარლამ თოფურია, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1965.
8. ლეო კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1977.
9. ბიძინა ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974.
10. ქართული ენა და ლიტერატურა (მასწავლებლის ბიბლიოთეკა), 5 ტომად, შედგენილი გამოცდების ეროვნული ცენტრის ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფის მიერ, ქართული ენა, რედაქტორები: ელენე ბაბუნაშვილი და მზექალა შანიძე, I-II, თბ., 2009.
11. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, VII, თბ., 1985.
12. აკაკი შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1980.
13. აკაკი შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.
14. არნოლდ ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952.
15. არნოლდ ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, თბ., 1950 (ცალკე გამოცემა, თბ., 1998).
16. შოთა ძიძიგური, ქართული ენის თავგადასავალი, თბ., 1969; ან: საენათმეცნიერო საუბრები, თბ., 1975.
17. ზურაბ ჭუმბურიძე, ქართული სალიტერატურო ენისა და სტილის საკითხები, თბ., 1956.
18. ბესარიონ ჯორბენაძე, ენა და კულტურა, თბ., 1995.

ლექსიკონები:

1. ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973.
2. ვარლამ თოფურია, ივანე გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1998.
3. ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1995.
4. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, თბ., 1991; II, თბ., 1993.
5. ჟურნალისტის სტილისტიკური ცნობარი, თბ., 2002.
6. ჟურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი, თბ., 2009.
7. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I-VIII, თბ., 1950-1954; I-III, თბ., 2009-2015.
8. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბ., 1986.

ბ) ქართული ლიტერატურა

I. მხატვრული ტექსტის ანალიზისათვის აუცილებელი ლიტერატურისმცოდნეობითი ტერმინები: ალეგორია, ალიტერაცია, ალუზია, ანდაზა, ასონანსი, აფორიზმი, ბალადა, ბიოგრაფია, განმეორება, გაპიროვნება, გმირი, გროტესკი, დიალოგი, დრამა, ელეგია, ეპიგრაფი, ეპითეტი, ეპილოგი, ეპოსი, ესე, ზღაპარი, თემა, თქმულება, იგავ-არაკი, იდეა, ინტონაცია, ირონია, იუმორი, კოლიზია, კომედია, კომპოზიცია (კომპოზიციური ელემენტების ჩათვლით), ლეგენდა, ლექსი, ლირიკა, ლიცენცია, მემუარი, მეტაფორა, მითი, მოთხრობა, მონოლოგი, მოტივი, მხატვრული ენა, მხატვრული სახე, ნოველა, პეიზაჟი, პერიფრაზი, პერსონაჟი, პიესა, პოეზია, პოემა, პორტრეტი, პროზა, პროლოგი, ჟანრი, რემარკა, რემინისცენცია, რითმა, რიტმი, რომანი, სატირა, სახე, სიმბოლო, სიუჟეტი, სტროფი, ტაეპი, ტრაგედია, ტროპი, ფაბულა, შაირი, შედარება, ციტატა, ხასიათი, ხატოვანი თქმა, ჰიმნი, ჰიპერბოლა.

II. ლიტერატურული პროცესის ძირითადი ეტაპები: სასულიერო მწერლობა, კლასიკური ხანის მწერლობა, აღორძინების ხანის მწერლობა, რომანტიზმი, რეალიზმი, მოდერნიზმი, პოსტმოდერნიზმი.

III. რეკომენდებულ ავტორთა და ნაწარმოებთა ჩამონათვალი:

1. ჰაგიოგრაფია და ჰიმნოგრაფია: „ცხორებაჲ წმიდისა ნინოჲსი“, „წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ“, „წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა ჰაბოჲსი“, „სიბრძნე ბალაჰვარისი“, „ცხო-

რებაჲ წმიდისა გრიგოლ ხანძთელისაჲ“, „ცხორებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთჳმესი“, „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“, „გალობანი სინანულისანი“.
2. კლასიკური ხანის მწერლობა: „ამირანდარეჯანიანი“, „აბდულმესიანი“, „თამარიანი“, „ვისრამიანი“, „ვეფხისტყაოსანი“.
3. აღორძინების ხანის მწერლობა: ვახტანგ VI, სულხან-საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი, ბესიკი.
4. ახალი ქართული ლიტერატურა: ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გიორგი ერისთავი, დანიელ ჭონქაძე, ლავრენტი არდაზიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა.
5. უახლესი ქართული ლიტერატურა: დავით კლდიაშვილი, ვასილ ბარნოვი, ნიკო ლორთქიფანიძე, ლეო ქიაჩელი, კონსტანტინე გამსახურდია, მიხეილ ჯავახიშვილი, გრიგოლ რობაქიძე, დემნა შენგელაია, პოლიკარპე კაკაბაძე, გალაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე, ტერენტი გრანელი, გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი, იოსებ გრიშაშვილი, ლევან გოთუა, გიორგი შატბერაშვილი, ლადო ასათიანი, მირზა გელოვანი, ნიკო სამადაშვილი, შოთა ჩანტლაძე, მურმან ლებანიძე, გივი გეგეჭკორი, გურამ რჩეულიშვილი, ნოდარ დუმბაძე, რევაზ ინანიშვილი, არჩილ სულაკაური, ოთარ ჩხეიძე, ჯემალ ქარჩხაძე, გოდერძი ჩოხელი, ანა კალანდაძე, მუხრან მაჭავარიანი, ჭაბუა ამირეჯიბი, ოთარ ჭილაძე, გურამ დოჩანაშვილი.

სარეკომენდაციო ლიტერატურა:

ა) ლიტერატურული კრიტიკა და პუბლიცისტიკა

1. კიტა აბაშიძე, გონს მოდით! წიგნში: „ცხოვრება და ხელოვნება“, თბ., 1971.
2. კიტა აბაშიძე, XIX საუკუნე საქართველოს ლიტერატურისათვის, იქვე.
3. იაკობ გოგებაშვილი, ბურჯი ეროვნებისა, წიგნში: რჩეული თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. II, თბ., 1990.
4. რევაზ ერისთავი, პასუხი თავადი ილია ჭავჭავაძის კრიტიკისა, წიგნში: ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, შემდგენელი ს. ხუციშვილი, ტ. I, თბ., 1954.
5. ვაჟა-ფშაველა, კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი, წიგნში: თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტ. V, თბ., 1961.
6. ვაჟა-ფშაველა, კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი, იქვე.
7. ვაჟა-ფშაველა, Pro domo sua, იქვე.
8. ვაჟა-ფშაველა, სად არის პოეზია? იქვე.
9. ნიკო ნიკოლაძე, კრიტიკა და მისი მნიშვნელობა ლიტერატურაში, თხზულებანი, ტ. II, თბ., 1960.
10. გრიგოლ რობაქიძე, აკაკის ქნარი, თბ., 1991.
11. ქართული ლიტერატურული ესსე (96 ესსე), (შემდგენელი მანანა ხელაია), თბ., 1986.
12. გერონტი ქიქოძე, ეროვნება, ენა და ესთეტიკური კულტურა, წიგნში: რჩეული თხზულებანი სამ ტომად, ტ. II, თბ., 1964.
13. გერონტი ქიქოძე, ძველი იბერიელების ფსიქოლოგიიდან, იქვე.
14. აკაკი წერეთელი, ახირებული ფურცელი, წიგნში: თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. XI, თბ., 1960.
15. აკაკი წერეთელი, რაოდენიმე სიტყვა „ჩანგურის“ შესახებ, იქვე.
16. გიორგი წერეთელი, რამდენიმე სიტყვა ზემოური იმერლის გორისელის სტატიაზედ, ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის... ტ. I, თბ., 1954.
17. ილია ჭავჭავაძე, აი ისტორია, წიგნში: თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IV, თბ., 1955.
18. ილია ჭავჭავაძე, ერი და ისტორია, იქვე.
19. ილია ჭავჭავაძე, ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვის მიერ „შეშლილის“ თარგმნაზედა, იქვე, ტ. III, თბ., 1953.
20. ილია ჭავჭავაძე, პასუხი, იქვე.
21. ილია ჭავჭავაძე, საქართველოს მოამბეზედ, იქვე.
22. ილია ჭავჭავაძე, ქვათა ღაღადი, იქვე, ტ. VIII, თბ., 1957.
23. ილია ჭავჭავაძე, წერილები ქართულ ლიტერატურაზე, იქვე, ტ. III, თბ., 1953.
24. არჩილ ჯორჯაძე, პუბლიცისტი – ილია ჭავჭავაძე, წიგნში: წერილები, თბ., 1989.
25. ბარბარე ჯორჯაძე, თ. ილია ჭავჭავაძის კრიტიკაზედ, წიგნში: ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის... ტ. I, თბ., 1954.
26. ბარბარე ჯორჯაძე, პასუხს პასუხი, იქვე.

ბ) სამეცნიერო ლიტერატურა

1. კიტა აბაშიძე, ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1962.
2. გურამ ასათიანი, საუკუნის პოეტები, თბ., 1988.
3. ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1956.
4. აკაკი ბაქრაძე, აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, თბ., 2004.
5. ბაჩანა ბრეგვაძე, რუსთაველი და პლატონი, წიგნში: დრო და მარადისობა, I, თბ., 2006, გვ. 237-456.
6. აკაკი გაწერელია, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, რჩეული ნაწერები, ტ. II, თბ., 1978.
7. მანანა გიგინეიშვილი, იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“, კრებულში: „ნათელი ქრისტესი. საქართველო“, ტ. I, თბ., 2003.
8. ლაურა გრიგოლაშვილი, დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“, თბ., 2005.
9. თამაზ ვასაძე, „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული სამყარო, თბ., 2003.
10. მარიამ თაბორიძე, ვეფხისტყაოსნის ლიტერატურულ-ესთეტიკური ანალიზი სკოლაში, თბ., 2000.
11. რევაზ თვარაძე, გადასახედი, თბ., 1997.
12. გაიოზ იმედაშვილი, ვეფხისტყაოსანი და ქართული კულტურა, თბ., 1968.
13. პავლე ინგოროყვა, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, წიგნში: თხზულებათა კრებული შვიდ ტომად, ტ. I, თბ., 1963.
14. კორნელი კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1980; ტ. II, თბ., 1981.
15. კორნელი კეკელიძე, კულტურული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ანარეკლი ძველ ქართულ ლიტერატურაში, წიგნში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. IV, თბ., 1957.
16. კორნელი კეკელიძე, „წმიდა“ მხედარი ძველ ქართულ მწერლობაში, იქვე, ტ. II, თბ., 1945.
17. მიხეილ კვესელავა, პოეტური ინტეგრალები, თბ., 1977.
18. გრიგოლ კიკნაძე, ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, თბ., 1957.
19. გრიგოლ კიკნაძე, რომანტიკოსებიდან რეალისტებისაკენ, წიგნში: ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1956.
20. ვახტანგ კოტეტიშვილი, რჩეული ნაწერები ორ წიგნად, წგნ. I, თბ., 1965.
21. გიორგი ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, თბ., 1958.
22. ლევან მენაბდე, ძველი ქართული კულტურის კერები, თბ., 1992.
23. იონა მეუნარგია, ცხოვრება და პოეზია ნიკოლოზ ბარათაშვილისა, წიგნში: ქართველი მწერლები, ტ. I, თბ., 1954.
24. გიორგი ნადირაძე, რუსთაველის ესთეტიკა, თბ., 1958.
25. ნოდარ ნათაძე, სარგის ცაიშვილი, რუსთაველი და მისი პოემა, თბ., 1966.
26. რევაზ სირაძე, სახისმეტყველება, თბ., 1982.
27. რევაზ სირაძე, ქართული კულტურის საფუძვლები, თბ., 2000.
28. რევაზ სირაძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 2005.
29. გრივერ ფარულავა, ქართული ჰაგიოგრაფია, კრებულში: „ნათელი ქრისტესი. საქართველო“, ტ. I, თბ., 2003.
30. გრივერ ფარულავა, წმ. გრიგოლ ხანძთელი, იქვე.
31. ქართული ენა და ლიტერატურა (მასწავლებლის ბიბლიოთეკა), 5 ტომად, შედგენილი გამოცდების ეროვნული ცენტრის ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფის მიერ, ძველი ქართული ლიტერატურა, XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა, XX საუკუნის ქართული ლიტერატურა, რედაქტორები: რევაზ სირაძე, გრივერ ფარულავა, ბაჩანა ბრეგვაძე, დავით წერედიანი, ნონა ლეიაშვილი და გულავრ ჭარელიშვილი, III-V, თბ., 2009.
32. გერონტი ქიქოძე, რჩეული თხზულებანი სამ ტომად, ტ. III, თბ., 1965.
33. თამაზ ჩხენკელი, მშვენიერი მძლევარი, თბ., 1989.
34. სარგის ცაიშვილი, მარადიული სახეები, თბ., 1981.
35. სარგის ცაიშვილი, შოთა რუსთაველი – დავით გურამიშვილი, თბ., 1980.
36. დავით წერედიანი, ანარეკლი, თბ., 2005.
37. ელგუჯა ხინთიბიძე, ათონის ქართული ლიტერატურული სკოლის ისტორიისათვის, კრებულში: ივირონი – 1000, თბ., 1983.
38. ნიკოლოზ ჯანაშია, „შუშანიკის წამება“, თბ., 1988.

ცვლილები 2021 წლის ტესტის ფორმატში

2021 წელს ქართულ ენასა და ლიტერატურაში (VII-XII კლასები) მასწავლებელთა კომპეტენციის დასადასტურებელი ტესტირების ფორმატში დაგეგმილია გარკვეული ცვლილებები. შემცირდა დავალებების რაოდენობა, რაც, ბუნებრივია, აისახა ტესტირების დროზე.

ტესტი კვლავ სამი ნაწილისაგან შედგება: I. ქართული ენა; II. ქართული ლიტერატურა და III. მხატვრული ტექსტის ანალიზი. ცვლილებები შეეხო ტესტის სამივე ნაწილს, კერძოდ:

I. ქართული ენა – 2021 წელს სტილისტიკის, გრამატიკისა და პუნქტუაციის ცოდნა შემოწმდება 6 ორქულიანი ღია ტიპის დავალებით, გასულ წელს ამ ტიპის დავალება იყო 7. ასევე ამოღებულია ერთი კომპლექსური (ოთხქულიანი) დავალება, რომელიც გრამატიკის თეორიულ ცოდნასა და სწავლებასთან დაკავშირებულ საკითხებს ამოწმებდა. დარჩა ორი კომპლექსური დავალება: 1. პუბლიცისტურ ტექსტში დასმულ პრობლემატიკაზე მსჯელობა, რომელიც შეფასდება 11 ქულით, ნაცვლად 7 ქულისა; 2. მოსწავლის ნაწერის შეფასება, რომელსაც ცვლილებები არ შეხებია.

II. ქართული ლიტერატურა – 2021 წელს ლიტერატურის ცოდნა შემოწმდება 15 არჩევითპასუხებიანი დავალებით (15 ქულა), გასულ წელს ამ ტიპის დავალება იყო 20.

III. მხატვრული ტექსტის ანალიზი – დავალების პირობა იგივე რჩება. ცვლილებები შეეხება შეფასების კრიტერიუმებს. მაქსიმალური შეფასება იქნება 20 ქულა (გასულ წელს ამ დავალების მაქსიმალური შეფასება იყო 15 ქულა).

2020 წელს ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტს მოაკლდა 10 არჩევითპასუხებიანი დავალება (წაკითხულის გააზრება). როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, შესაძლებელი გახდა ტესტირების ხანგრძლივობის შემცირება. 2021 წელს ტესტური დავალებების რაოდენობა კიდევ უფრო შემცირდა და მთლიანობაში შეადგინა 17 დავალება.

ამდენად, 2021 წელს ტესტის მაქსიმალური ქულაა 70, ხოლო ტესტირების ხანგრძლივობა – 4 საათი.

გთავაზობთ ტესტის ახალი ფორმატის ნიმუშსა და შეფასების კრიტერიუმებს. გთხოვთ ყურადღება გაამახვილოთ მე-7 დავალებისა და მხატვრული ტექსტის ანალიზის შეფასების კრიტერიუმებზე.

ტესტის ნიმუში

I. ქართული ენა

(2) **1.** მოსწავლემ დაწერა: *თანამედროვე ყოფაში თანდათან სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციაც იკარგება.*

მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(2) **2.** მოსწავლემ დაწერა: *ადამიანს ბავშვობის შთაბეჭდილებები ცხოვრების ბოლომდე მიყვება.*

მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(2) **3.** მოსწავლემ დაწერა: *საჭიროა ქვეყნის განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრა, რათა ეკონომიკური წინსვლა ვუზრუნველყოთ.*

მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(2) **4.** მოსწავლემ დაწერა: *ობობა სწრაფად ითვისებს ოთახის კუთხე-კუნჭულებს და ქსელებს აბავს.*

მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(2) **5.** მოსწავლემ დაწერა: *ბიჭებს, რომლებსაც ხის ქვეშ გრძელი სუფრა გაეშალათ, ნაკვერჩხალზე მწვადებს აშიშხინებდნენ.*

მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(2) **6.** მოსწავლემ დაწერა: *მწერალმა ზაფხული შვეიცარიაში ჟენევის ტბასთან მდებარე სოფელში გაატარა.*

მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(11) **7.** წაიკითხეთ ნაწყვეტი არჩილ ჯორჯაძის წერილიდან:

„ქართველს აქვს თავისი საკუთარი ტემპერამენტი და ხასიათი. მას მეტად უყვარს საკუთარი თავი; პირადობა მისი ბატონია, საზოგადო საქმე ძალდატანებაა. იგი მალე ინთება, მაგრამ უმალვე ქრება. მისი ენთუზიაზმი უფრო ფიზიოლოგიურია, ვიდრე ფსიქიკური. იგი შრომობს, ხშირად ბევრსაც შრომობს, მაგრამ მის შრომას გაუტანლობის ნიშნები ატყვია. არ უყვარს საერთო მუშაობა. იგი ინდივიდუალისტია. ჯგუფურობა სულს უხუთავს. იგი განზე იწევა, არ უთმობს სხვას იმას, რაც საჭიროა საერთო საქმის გაკეთებისათვის. და საერთო საქმე მას არ ეხერხება“.

(2) **I.** ჩამოაყალიბეთ, რა არის ამ ტექსტის მთავარი სათქმელი.

(3) **II.** იმსჯელეთ, რამდენად აქტუალურია ეს პრობლემა დღეს.

(2) **III.** ჩამოაყალიბეთ თითო არგუმენტი არჩილ ჯორჯაძის თვალსაზრისის როგორც გასამყარებლად, ისე უარსაყოფად.

(3) **IV.** იმსჯელეთ რომელი არგუმენტია თქვენთვის მისაღები და რატომ.

გაითვალისწინეთ: თუ ამ დავალების პასუხში თქვენ მიერ დაშვებული იქნება ერთი გრამატიკული ან პუნქტუაციური შეცდომა, ან სტილისტიკური ხარვეზი, დაგაკლდებათ 1 ქულა.

(12) **8.** გაასწორეთ მოსწავლის ნამუშევარი ქვემოთ მოცემული სქემის მიხედვით და დაწერეთ კომენტარი.

I. შეაფასეთ ნამუშევარი თითოეული კრიტერიუმის მიხედვით და დაწერეთ შესაბამისი ქულები. თქვენი შეფასება დაასაბუთეთ შემდეგნაირად: I კრიტერიუმით შეფასების კომენტირებისას მოიხმეთ სათანადო მაგალითები თხზულებიდან; II და III კრიტერიუმებით შეფასების კომენტირებისას კი ამოიწერეთ ყველა შეცდომა და ხარვეზი (მხოლოდ მცდარი ფორმები და შესიტყვებები). თითოეულ მათგანს მიუწერეთ, რა ტიპს მიეკუთვნება – ორთოგრაფიულს, მორფოლოგიურს, პუნქტუაციურს, სინტაქსურსა თუ სტილისტიკურს.

II. ჩამოაყალიბეთ სათანადო რჩევები, რომელთა გათვალისწინებაც დაეხმარება მოსწავლეს ანალოგიური დავალების უკეთ შესრულებაში.

გაითვალისწინეთ: თუ ამ დავალების პასუხში თქვენ მიერ დაშვებული იქნება ერთი გრამატიკული ან პუნქტუაციური შეცდომა, ან სტილისტიკური ხარვეზი, დაგაკლდებათ 1 ქულა.

შეფასების სქემა

N	**კრიტერიუმები**	**კრიტერიუმების განმარტება**	ქულები
I	მსჯელობის დასაბუთება (არგუმენტირება და ციტირება)	ა) მსჯელობა მკაფიოა, არგუმენტირებულია, არგუმენტები გამყარებულია შესაბამისი მაგალითებით; ბ) მსჯელობა ნაწილობრივ არგუმენტირებულია, არ არის გამყარებული შესაბამისი მაგალითებით ან დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომა; გ) ტექსტი არაადეკვატურადაა გაგებული, მსჯელობა არადამაჯერებელია, მაგალითებიც არაადეკვატურად არის მოხმობილი.	2 1 0
II	ლექსიკა და სტილი	ა) აზრი ზუსტად და მკაფიოდ არის გამოხატული, ნაწერის სტილი გამართულია; ბ) აზრი ზუსტად არის გამოხატული, მაგრამ ლექსიკა მწირია ან გვხვდება სტილისტიკური ხარვეზები; გ) აზრი ძირითადად გასაგებია, მაგრამ ნაწერის სტილი გაუმართავია, გვხვდება არაადეკვატური ლექსიკა.	2 1 0
III	ორთოგრაფია, მორფოლოგია, სინტაქსი და პუნქტუაცია	ა) არ არის ამ ტიპის სამზე მეტი შეცდომა; ბ) არ არის ამ ტიპის ექვსზე მეტი შეცდომა; გ) ამ ტიპის შეცდომა ექვსზე მეტია.	2 1 0

მოსწავლისათვის შეთავაზებული დავალება:

არსებობს მოსაზრება, რომ ჭეშმარიტი თავისუფლება შეუძლებელია დიდი პასუხისმგებლობისა და მოვალეობის შეგნების გარეშე.

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

მოსწავლის ნამუშევარი:

თავისუფლება ჩემი აზრით ის ფასეულობაა, რომელიც ყველაზე მეტად ძვირფასია ადამიანისათვის. ეს არის მცნება, რომელიც ყოველმა ადამიანმა უნდა გაიაზროს. მისი მოპოვებისათვის ბრძოლაა საჭირო.

შენარჩუნება კი რთულია. შეუძლებელია ადამიანი იყოს თავისუფალი, თუ მისი ქვეყანა არ არის დამოუკიდებელი.

თავისუფლება საკუთარ ნება-სურვილის მიხედვით მოქმედებას გულისხმობს. თუმცა ეს არ ნიშნავს ზნეობის, ნორმებისა და ფასეულობების უარყოფას. საზოგადოების თითეული წევრის მოვალეობაა, ისე შეძლოს თვით გამოხატვა, რომ სხვისი თავისუფლება არ შეზღუდოს. ყოველმა ჩვენთაგანმა უნდა შეიცნოს თავისუფლების ჭეშმარიტი არსი, დაიცვას თავისი საკუთარი თავისუფლება და არ ხელჰყოს სხვისი.

ლიბერალიზმი, რომელიც უმცირესობების მიმართ შემწყნარებლობას ქადაგებს ჩვენ საზოგადოებაში, ხშირად, არასწორედ არის აღქმული და უზნეობის პროპაგანდასთანაც კი იგივდება. თავისუფლების არასწორი გაგება იწვევს არეულობას, სრულ ანარხიას.

თავისუფლების განცდას თან უნდა ახლდეს პასუხისმგებლობისა და მოვალეობის შეგნება. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება მივიღოთ ღირსეული საზოგადოება.

II. ქართული ლიტერატურა

(1) **9. ვარსქენის შეკითხვაზე, თუ როგორ იყო მის მიერ ნაგვემი შუშანიკი, ერთ-ერთმა მცველმა უპასუხა:**

„შიმშილითა უფროის ხოლო მოკუდების, რამეთუ არარას მიიღებს საზრდელსა“.

რა უპასუხა ვარსქენმა მცველს?

ა) დაე, მოკვდესო.
ბ) ვაითუ მოკვდესო.
გ) იქნებ გადარჩესო.
დ) საზრდელი მიაწოდეთო.

(1) **10. იოანე საბანისძის „აბო თბილელის წამებაში“ ავტორი აბოს შესახებ წერს, რომ იგი**

„გვირგვინოსან იქმნა ქრისტეის მიერ“.

როგორ უნდა გავიგოთ ავტორის ეს სიტყვები?

ა) აბოს, ქრისტეს მსგავსად, ეკლის გვირგვინი დაადგეს.
ბ) აბომ, ქრისტეს მსგავსად, დიდება მოიპოვა.
გ) აბო ქრისტემ ღვთაებრივი დიდებით შემოსა.
დ) წამებული აბო თანამოაზრეებმა გვირგვინით შეამკეს.

(1) **11. გაიხსენეთ გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“.**

***როგორ მოექცა გრიგოლ ხანძთელი** „სიძვის დედაკაცს“?*

ა) მამაშვილურად დაარიგა და აფხაზეთში გაგზავნა.
ბ) შეაჩვენა და ცოდვათა მოსანანიებლად მერეში გაგზავნა.
გ) ცოდვა შეუნდო და მერეს მონასტერში წაიყვანა.

დ) წელზე საბელი შემოარტყა და დასასჯელად გადასცა.

(1) **12. „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთ თავში ვკითხულობთ:**

„მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა“.

ამ სტრიქონის მიხედვით, რა არის ცოდნის შეძენის მიზანი?

ა) ცოდნა ადამიანს საშუალებას აძლევს, საკუთარი წვლილი შეიტანოს კაცობრიობის განვითარებაში.
ბ) ცოდნამ ხელი უნდა შეუწყოს ადამიანის ზნეობრივ სრულქმნას, რათა იგი ზეციურ ძალებს შეერწყას.
გ) ცოდნის მეშვეობით ადამიანი ღვთაებრივს ეზიარება, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი ზნეობრივად სრულქმნილი.
დ) ცოდნის მეშვეობით ადამიანი მატერიალური გარემოს კანონზომიერებებში გარკვევას უკეთესად შეძლებს.

(1) **13. რომელი კონკრეტული ადამიანური მანკიერებაა მხილებული სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკში „კუ და მორიელი“?**

ა) გამცემლობა.
ბ) სიცრუე.
გ) უმადურობა.
დ) ცრუმორწმუნეობა.

(1) **14. გრიგოლ ორბელიანის ლექსში „იარალის“ ვკითხულობთ:**

„დავნატრი მათ, ვინც თვისი სიცოცხლე თვისსა მამულსა შეჰსწირა მსხვერპლად,
დავნატრი დროთა, როს აქვნდათ ტრფობა მამულისადმი გულს აღბეჭდილად...“

პოეტის კიდევ რომელ ნაწარმოებში გვხვდება ანალოგიური შინაარსისა და სულისკვეთების მონაკვეთები?

ა) „სადღეგრძელო“.
ბ) „საღამო გამოსალმებისა“.
გ) „ჩემი ეპიტაფია“.
დ) „ჩემს დას ეფემიას“.

(1) **15. ქართულ რომანტიზმზე საუბრის დროს მოსწავლემ დასვა შეკითხვა: რატომ აღძრავს სიყვარული ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში ტრაგიზმის განცდას?**

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება გამოვიყენოთ ამ კითხვის პასუხად?

ა) ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ ტრაგიკული აღქმა სიყვარულისა რეალური სატრფოს გულგრილობით არის გამოწვეული და რომანტიზმთან კავშირი არა აქვს.

ბ) სიყვარული რომანტიკულ ლიტერატურაში ადამიანურ ბედნიერებასთანაა დაკავშირებული და, ამ მხრივ, ნიკოლოზ ბართაშვილის პოეზია გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს.

გ) სიყვარულის ტრაგიკული აღქმა საერთოდ დამახასიათებელია რომანტიზმისთვის, რადგან ლირიკული გმირი იმთავითვე მარტოობისთვისაა განწირული.

დ) ქართველ რომანტიკოსთა ლიტერატურული გაერთიანების პროგრამული ნაშრომების მიხედვით, სიყვარულის ტრაგიკული აღქმა პოეზიაში სავალდებულოდ მიიჩნეოდა.

(1) **16. „თერგდალეულთა“ რომელი იდეაა მხატვრულად ხორცშესხმული ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივში“?**

ა) ბატონყმობის გადავარდნის შემდგომ ახალი ქვეყანა სხვადასხვა წოდების ადამიანებს საერთო ძალისხმევით უნდა აეშენებინათ.

ბ) ბატონყმობის გადავარდნის შემდგომ ახალი ქვეყნის აშენება მხოლოდ მაღალი სოციალური წრის ადამიანებს შეეძლებოდათ.

გ) ბატონყმობის გადავარდნის შემდგომ სოციალურ კლასებს შორის დაპირისპირება ქვეყნის განვითარებას ახალ იმპულსს მისცემდა.

დ) ბატონყმობის გადავარდნის შემდგომ სხვადასხვა წოდებებს შორის დაუნდობელი ბრძოლა გარდაუვალი გახდებოდა.

(1) **17. აკაკი წერეთლის „გამზრდელის“ შესწავლის დროს მოსწავლემ იკითხა:** რატომ შესთავაზა ბათუმ ძუძუმტეს მისთვის მიენდო ცხენის მოპარვა, მიუხედავად იმისა, რომ ამას „უკადრის საქმედ“ მიიჩნევდა?

რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

ა) ეგონა, რომ ეს შეთავაზება საფარ-ბეგს ზია-ხანუმის მოთხოვნაზე დააფიქრებდა და უღირსი დავალების შესრულებაზე უარს იტყოდა.

ბ) ხვდებოდა, რომ მისი სტუმარი ზია-ხანუმის დავალების შესრულებას არ აპირებდა და ეს საფარ-ბეგს ღირსებას შეულახავდა.

გ) ხვდებოდა, რომ საფარ-ბეგს ზია-ხანუმის დავალების შესრულება გაუჭირდებოდა და ძუძუმტის გამო ზნეობრივ კომპრომისზე მოუწია წასვლა.

დ) ეგონა, რომ საფარ-ბეგი შეთავაზებაზე უარს ეტყოდა და საყვარელი ქალის დავალების შესასრულებლად თავად წავიდოდა.

(1) **18. ალექსანდრე ყაზბეგის „ხევისბერი გოჩას“ შესწავლის დროს მოსწავლემ იკითხა:** რაზე მიანიშნებს ონისეს სიტყვები: „[ძიძიამ] მაცდურად მომხიბლა და მაცდურად დამღუპა“?

რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

ა) ონისე მხოლოდ უბედურების დროს აცნობიერებს, თუ ვინ აქცია იგი მოღალატედ.
ბ) ონისე სუსტი პიროვნებაა და არ შესწევს ძალა, რომ პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღოს.
გ) ონისე ძლიერი პიროვნებაა და ქვეყნის ინტერესებისათვის საყვარელი ქალის გაწირვაც შეუძლია.
დ) ონისესათვის ძიძია მხოლოდ გატაცებაა და დანაშაულის მისთვის გადაბრალება არაფრად უღირს.

(1) **19. ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძლის“ შესწავლის დროს მოსწავლემ იკითხა:** რატომ არ ეუბნება მეზობელი ჯოყოლას, რომ მისი სტუმარი ზვიადაურია?

რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

ა) მეზობელი ცდილობს თანასოფლელებს დაუმტკიცოს, რომ ის უფრო მტკიცედ იცავს მამაპაპურ წესებს, ვიდრე ჯოყოლა, მტერი შინ რომ მოიყვანა.
ბ) მეზობელი ხვდება, რომ ჯოყოლა ტრადიციას არ უღალატებს და ზვიადაურს, სანამ ის მისი სტუმარია, ცუდს არაფერს აკადრებს.
გ) მეზობელმა თავისი გამომეტყველებით მიანიშნა ჯოყოლას, რომ სტუმარი არასასურველი კაცი იყო, მაგრამ მასპინძელი ვერ მიუხვდა.
დ) მეზობელმა იცის, რომ ჯოყოლა ზვიადაურს ვერ მოერევა და თანასოფლელების დახმარების გარეშე საკადრის პასუხს ვერ გასცემს.

(1) **20. დავით კლდიაშვილის ბიოგრაფიის შესწავლის დროს მოსწავლე დაინტერესდა, თუ რატომ უწოდებდნენ ცნობილ ქართველ მწერალს „ურჩ ოფიცერს“?**

რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

ა) დავით კლდიაშვილმა ავადმყოფობა მოიმიზეზა, რათა პირველ მსოფლიო ომში მონაწილეობა თავიდან აერიდებინა.
ბ) დავით კლდიაშვილმა დუელში გამოიწვია მასზე მაღალი ჩინის სამხედრო პირი, რითაც სამხედრო წესდება უხეშად დაარღვია.
გ) დავით კლდიაშვილმა უარი განაცხადა, რომ ბათუმში დაწყებული მღელვარების დროს მუშების მასობრივ დახვრეტებში მონაწილეობა მიეღო.
დ) დავით კლდიაშვილმა უარი თქვა სამუშაოდ წასულიყო აჭარაში, რომელიც საქართველოს იმ დროს დაუბრუნდა.

(1) **21. ნიკო ლორთქიფანიძის ნაწარმოების – „შელოცვა რადიოთი“ – შესწავლის დროს მოსწავლემ იკითხა:** როცა რამინოს წასვლის შესახებ საუბრობდნენ, რატომ თქვა ელიმ, რომ რამინო „ბედნიერია“?

რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

ა) რამინომ დიდი თანხა ჩაიგდო ხელში.
ბ) რამინომ მილიარდელი ბრომლეი დაამარცხა.
გ) რამინომ საკუთარი ღირსების დაცვა შეძლო.
დ) რამინომ სამშობლოში დაბრუნება მოახერხა.

(1) **22. გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების შესწავლის დროს მოსწავლემ იკითხა:** რას გამოხატავს გალაკტიონის სტრიქონები:

„ჩემს სამშობლოში მე მოვვლე მხოლოდ
უდაბნო ლურჯად ნახავერდები“?

რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

ა) ბავშვობის მონატრებას.
ბ) მარტოსულობის განცდას.
გ) შემოქმედებით კრიზისს.
დ) საყოველთაო აღიარებას.

(1) **23. ჯემალ ქარჩხაძის „იგის“ შესწავლისას მოსწავლემ იკითხა:** რა მიზნით უპირისპირებს მწერალი ერთმანეთს წუხილსა და ტკივილს?

რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

ა) ადამიანს წუხილის დაძლევა იოლად შეუძლია, ტკივილს კი ვერაფრით უშველის.
ბ) ტკივილისაგან განსხვავებით, ადამიანი წუხილის დამალვას ყოველთვის ახერხებს.
გ) წუხილი, ტკივილისაგან განსხვავებით, მხოლოდ მოაზროვნე არსებას ახასიათებს.
დ) წუხილი ფიზიკური განცდაა, ხოლო ტკივილი მხოლოდ სულიერი ტანჯვის გამოვლინება.

III. მხატვრული ტექსტის ანალიზი (20 ქულა)

ყურადღებით წაიკითხეთ გურამ რჩეულიშვილის მოთხრობა „ერთგული“:

ყიჟინასა და ტაშის გრიალში გამოვიდნენ ცხენები მოედანზე. წმინდა სისხლის ულაყზე ჩია კაცი იყო წამოსკუპებული. დიდი, წითელი კეპის ქვევიდან აცეცებდა თვალებს. ორ გამყოლს აქეთ-იქიდან ჩაევლო აღვირისათვის ხელი, მაინც სცემდა ტორებს სირბილის ჟინზე მოსული. ულაყი პირველი დადგა. გვერდზე სხვა ჯიშსაშენის წმინდა სისხლის ცხენები მოუყენეს გამყოლებმა. უზარმაზარ ულაყებზე ძლივს მოჩანდნენ პატარა ტანის ჟოკეები.

– ყურადღება, იწყება ჯიშსაშენის წმინდა სისხლის ცხენების დოღი ათ კილომეტრზე!

რომელიღაცამ დაიხვიხვინა. გამყოლებმა ძლივს გააკავეს ცხენები. ტოკავდნენ. მხოლოდ თავიდან მეორე იდგა წყნარად, დიდ თვალებს არ აცეცებდა. მას გრძელი, ჩამოშვებული ფაფარი ჰქონდა და ზურგზე შუახანს გადასული საკმაოდ მოსული კაცი ეჯდა.

– პირველი ცხენი, – განაგრძობდა დიქტორი, – სახელად „გიტარა“, არის ოთხი წლის, მეორე ცხენი საქართველოსა და ამიერკავკასიის რამდენიმეგზის ჩემპიონი – „ერთგული“ უკვე მეთერთმეტე წელშია გადამდგარი...

ხალხი ახმაურდა, დიქტორმა სწრაფად მოათავა ექვსივე ცხენის ბიოგრაფიების ჩამოთვლა და მთავარ მსაჯს ანიშნა.

გამყოლებმა მოედანი დატოვეს. ნიშანზე ულაყები ნელა დაიძრნენ ადგილებიდან, ტორტმანით უახლოვდებოდნენ დოღის დაწყების ადგილს. ზედ ხაზთან დაიქნია მსაჯმა დროშა და ცხენები ადგილს მოსწყდნენ. გაისმა ღრიალი, ტაში, ყიჟინა. ხალხი ფეხზე წამოვარდა.

დიქტორი ალაპარაკდა.

– პირველი მიდის „სალამურა“, მეორე „დარბაისელი“, მესამე „გიტარა“, მეოთხე „ერთგული“.

ხალხი უსტვენდა.

„ერთგული“ სამჯერ ახსენა დიქტორმა.

თერთმეტი წლის ულაყი მეოთხე წრეზე ყველაზე წინ მოექცა.

ხალხი წამოვარდა.

დიქტორი აცხადებდა:

– ჯერ კიდევ თერთმეტი წრე დარჩა, წინ მიდის „ერთგული“.

„ერთგული“ ბოლო ძალებს იკრებდა. მირბოდა ოთხით. ყველაზე წინ იყო და თავისი პატრონი, მისი წყალობით ჩემპიონი თუ ოსტატი, ზურგით მიჰყავდა.

ექვსი წრე გაიარეს.

„ერთგული“ ისევ წინ იყო.

გახელდა.

მის მიახლოებას ტაშით ხვდებოდნენ, ზოგი ქუდს ისროდა მაღლა. სადღაც უკან ისმოდა სტვენა, სიცილი. უკან დარჩენილი „სალამურა“, სტვენით გაღიზიანებული, ცდილობდა წინ გავარდნას, მაგრამ მხედარს მაგრად ეჭირა ლაგამი.

„ერთგულმა“ საკმაო მანძილზე ისხლიტა სხვები. ახლა იგი სისწრაფეს ვეღარ უმატებდა. კიდევ ორი წრე შემოირბინა ასე. დაიღალა. სცადა სისწრაფის მომატება. ამაოდ. თანდათან უკლო სირბილს. ანთებული თვალები ჩაუქრა.

„დარბაისელი“ ჯერ წამოეწია, მერე გაუსწრო.

– ფანდია!

– ჯერ გაუშვებს, მერე გაუსწრებს!

– აბა რა! – იძახდა ხალხი.

ახლა „გიტარამაც“ გაუსწრო „ერთგულს“.

მათრახი აკადრეს. მან უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, ისხლიტა „დარბაისელი“ და თავით გაუსწორდა პირველს.

დოღის ბოლომდე ოთხი წრეღა რჩებოდა.

– „ერთგული“!!!

– ვაშა!

– უჰ, შენი ჭირიმე!

– მიდი!

– ნიძლავი, მაგისია!

– როგორც ყოველთვის...

– აბა რა!

– მა რა, – იძახდა ხალხი.

ულაყმა იგრძნო ქება, მაგრამ პირველად თავის სიცოცხლეში არ ესიამოვნა. ძველებურად აღარ გახარებია. ისევ დაიწყო ჩამორჩენა.

დოღი დაიძაბა.

ცხენები დაიჭიმნენ.

„სალამურა“ ნელა წამოეწია სხვებს.

ახლა ცხენები ერთად გარბოდნენ. შეჯიბრების ბოლომდე ორი წრეღა რჩებოდა.

„ერთგულს“ კიდევ ორმა გაუსწრო. მერე კიდევ ერთმა.

ისევ აკადრეს მათრახი.

ახლა დარტყმა აღარ ეწყინა.

აღარც გამხნევებამ იმოქმედა, ახლა მხოლოდ უძალოდ ხტებოდა ჰაერში.

სხვებმა ბოლო წრეზე დიდი მანძილით მოიტოვეს უკან ყოფილი ჩემპიონი.

ვიღაცამ დაუსტვინა კიდეც.

მას სხვები აჰყვნენ.

ახლა აღარც ეს სწყინდა ჩამორჩენილს. ნელი ნახტომებით უახლოვდებოდა ბოლოს, სადაც მისმა მეტოქეებმა მთელი ათი-თორმეტი წამით ადრე მიირბინეს.

– სალამურამ!

– ვინ?

– სალამურამ!

– ხო გითხარი.

– ხო ვამბობდი.

– ეტყობოდა.

– აბა რა!

– მა რა!

ყველას „სალამურას“ სახელი ეკერა პირზე.

– რამდენი წლისაა? – იკითხა ულვაშა ძიამ.

– სამის, მგონი, – უპასუხა მოწაფის ფორმაში გამოწყობილმა ბიჭმა და გამარჯვებულისაკენ გაიქცა.

„ერთგულმა“ გადალახა ბოლო ხაზი, მერე მწვანე მინდორზე გადავიდა, უნდოდა უფრო შორს წასვლა, მაგრამ ლაგამმა არ გაუშვა. ერთხანს ასე იდგა, შემდეგ ვიღაც ბიჭმა მოჰკიდა მის აღვირს ხელი და გაატარა.

მოშორებით, სხვა ცხენების გარშემო, ხალხი ხმაურობდა.

„ერთგულს“ სიამოვნებდა, რომ მის ახლოს არავინ იყო. თერთმეტი წლის ულაყმა ცალი ყური მიაბრუნა, თან გახუნებულ ველს გახედა. ბუნდოვნად იგრძნო, რომ ოდესღაც, როცა ხალხს არ იცნობდა, იქ იზრდებოდა და ძალიან, ძალიან მოუნდა დაბრუნება. როცა მოიხედა, მის წინ პატრონი იდგა, ყალიონს აბოლებდა. მასთან ვიღაც გაბურძგნილი კაცი მივიდა, ლაშებში მოჰკიდა ხელი, მერე თავი გაიქნია.

– მეთორმეტეშია, – თქვა მან.

– არა, მეთერთმეტეში, – გაუსწორა პატრონმა.

– სულ ერთია, – თქვა გაბურძგნილმა კაცმა.

„ერთგულმა“ კისერი გაიგრძელა, უღონოდ ჩაიხვიხვინა და ისევ ველებს გაუსწორა თვალი, სიამოვნებდა, რომ ხმაური მისგან შორს იყო, რომ იდგა მარტო და არავინ აწუხებდა.

გაბურძგნილმა კაცმა ისევ ჩაავლო აღვირში ხელი.
ახლა აღარც ეს სწყინდა „ერთგულს“.

იმსჯელეთ, რა არის ავტორის მთავარი სათქმელი და რა მხატვრული საშუალებებითაა იგი გადმოცემული.

გაითვალისწინეთ: ნაშრომი, რომელიც 100 სიტყვაზე ნაკლები იქნება, არ გასწორდება!

შეფასების კრიტერიუმები

I. ქართული ენა

1. ა) ***სტუმარმასპინძლობა*** იწერება დეფისის გარეშე. ---------- *1ქ.*

ბ) თუ ორცნებიან კომპოზიტს (ამ შემთხვევაში: სტუმარ-მასპინძელი) დაერთვის სიტყვის საწარმოებელი აფიქსი (-ობა) და ახალი სიტყვა წარმოიქმნება (სტუმარმასპინძლობა), ეს სიტყვა უდეფისოდ იწერება --------*1ქ.*

2. ა) შეცდომაა ***მიყვება,*** უნდა იყოს ***მიჰყვება.*** ---------- *1ქ.*

ბ) ***მიჰყვება*** არის ორპირიანი გარდაუვალი ზმნა და მას შეეწყობა ირიბი ობიექტი, ამიტომ ჰ- პირის ნიშნის დართვა აუცილებელია. ----------*1ქ.*

3. ა) შეცდომაა ***ვუზრუნველყოთ,*** უნდა იყოს ***უზრუნველვყოთ.*** ----------*1ქ.*

ბ) რთული შედგენილობის (სახელისა და **ყოფა** ზმნის შეერთებით მიღებულ) ზმნებში პირის ნიშანი დაერთვის მეორე კომპონენტს – **ყოფა.** ---------- *1ქ.*

4. ა) შეცდომაა ***აბავს,*** უნდა იყოს ***აბამს.*** ---------- *1ქ.*

ბ) ზმნაში თემის ნიშანი სწორად არის თუ არა გამოყენებული, შეიძლება შემოწმდეს საწყისის მიხედვით. - *1ქ.*

5. ა) უნდა იყოს: *ბიჭები, რომლებსაც ხის ქვეშ გრძელი სუფრა გაეშალათ, ნაკვერჩხალზე მწვადებს აშიშხინებდნენ.* ---------- *1ქ.*

ბ) ამ რთულ წინადადებაში მთავარი წინადადება *(ბიჭები ნაკვერჩხალზე მწვადებს აშიშხინებდნენ)* გათიშულია დამოკიდებული წინადადებით *(რომლებსაც ხის ქვეშ გრძელი სუფრა გაეშალათ).* მთავარი წინადადების ქვემდებარე სინტაქსურად უნდა დაუკავშირდეს მთავარი წინადადების შემასმენელს. ---------- *1ქ.*

6. ა) ამ წინადადებაში გამოტოვებულია სასვენი ნიშნები. უნდა იყოს – *მწერალმა ზაფხული შვეიცარიაში, ჟენევის ტბასთან მდებარე სოფელში, გაატარა.* ---------- *1ქ.*

ბ) განკერძოებული გარემოება *(ამ შემთხვევაში – ჟენევის ტბასთან მდებარე სოფელში),* რომელიც მოსდევს და აზუსტებს ადგილის გარემოებას *(ამ შემთხვევაში – შვეიცარიაში) მძიმეებით უნდა გამოიყოს.* ---------- *1ქ.*

7. ***I.*** *ა) მთავარი სათქმელი განსაზღვრულია.* ---------- *2ქ.*

ბ) მთავარი სათქმელი ნაწილობრივ არის განსაზღვრული. ---------- *1ქ.*

გ) მთავარი სათქმელი განსაზღვრული არ არის. ---------- *0ქ.*

II. *ა) მკაფიოდ არის გამოკვეთილი პრობლემის აქტუალურობა, მსჯელობა დამაჯერებლადაა დასაბუთებული.* ---------- *3ქ.*

ბ) პრობლემის აქტუალურობა გამოკვეთილია, მაგრამ მსჯელობა ნაწილობრივ არის დასაბუთებული. - 2ქ.

გ) პრობლემის აქტუალურობა სუსტად არის გამოკვეთილი, მსჯელობა ძალზე ზოგადია ----------*1ქ.*

დ) არ არის გამოკვეთილი პრობლემის აქტუალურობა, მსჯელობა დასაბუთებული არ არის. ---------- *0ქ.*

III. ა) ჩამოყალიბებულია ორივე არგუმენტი. ---------- 2ქ.
ბ) ჩამოყალიბებულია მხოლოდ ერთი არგუმენტი. ---------- 1ქ.
გ ჩამოყალიბებული არგუმენტები არაადეკვატურია. ---------- 0ქ.
IV. ა) მსჯელობა დამაჯერებლადაა დასაბუთებული. ---------- 3ქ.
ბ) მსჯელობა ნაწილობრივ არის დასაბუთებული. ---------- 2ქ.
გ) მსჯელობა ძალზე ზოგადია, არგუმენტაცია აკლია ---------- 1ქ.
დ) მსჯელობა დასაბუთებული არ არის. ---------- 0ქ.

არ არის დაშვებული არცერთი ენობრივი შეცდომა და/ან სტილისტიკური ხარვეზი. ---------- 1ქ.
დაშვებულია ენობრივი შეცდომა და/ან სტილისტიკური ხარვეზი. ---------- 0ქ.

8. *I. შეფასება*
შინაარსობრივი მხარე (I კრიტერიუმი)
ა) მასწავლებელმა სწორად შეაფასა თხზულება პირველი კრიტერიუმის მიხედვით და არგუმენტირებული კომენტარი დაურთო მაგალითების მოხმობით. ---------- 2ქ.
ბ) მასწავლებელმა სწორად შეაფასა თხზულება პირველი კრიტერიუმის მიხედვით და არგუმენტირებული კომენტარი დაურთო, მაგრამ მაგალითები არ მოიხმო. ---------- 1ქ.
გ) გადმოწერილია მხოლოდ კრიტერიუმის მითითებები. ---------- 0ქ.

ენობრივი მხარე (II - III კრიტერიუმები)
1. ა) მასწავლებელმა სწორად შეაფასა თხზულება II და III კრიტერიუმების მიხედვით. ---------- 1ქ.
ბ) მასწავლებელმა სწორად შეაფასა თხზულება მხოლოდ II ან III კრიტერიუმების მიხედვით. ---------- 0ქ.
2. ა) მასწავლებელს გამორჩა ერთი ენობრივი შეცდომა ან ხარვეზი. ---------- 3ქ.
ბ) მასწავლებელს გამორჩა ორი ენობრივი შეცდომა ან ხარვეზი, ანდა არასწორად ამოიწერა ერთი. -------- 2ქ.
გ) მასწავლებელს გამორჩა სამი ენობრივი შეცდომა ან ხარვეზი, ანდა არასწორად ამოიწერა ორი. -------- 1ქ.
დ) მასწავლებელს გამორჩა სამზე მეტი ენობრივი შეცდომა ან ხარვეზი, ანდა არასწორად ამოიწერა სამი. -0ქ.
3. ა) სწორია ხუთი ენობრივი შეცდომისა და ხარვეზის კვალიფიკაცია. ---------- 3ქ.
ბ) სწორია ოთხი შეცდომისა ან ხარვეზის კვალიფიკაცია. ---------- 2ქ.
გ) სწორია სამი შეცდომისა ან ხარვეზის კვალიფიკაცია. ---------- 1ქ.
დ) სწორია მხოლოდ ორი შეცდომისა ან ხარვეზის კვალიფიკაცია. ---------- 0ქ.

II. მასწავლებლის რეკომენდაციები
ა) რეკომენდაციები მეთოდურად გამართულია და მსჯელობა არგუმენტირებულია. ---------- 2ქ.
ბ) რეკომენდაციები მეთოდურად გამართულია, მაგრამ მსჯელობა ნაწილობრივ არგუმენტირებულია. ------ 1ქ.
გ) რეკომენდაციები მეთოდურად გაუმართავია და მსჯელობა არ არის არგუმენტირებული. ---------- 0ქ.

არ არის დაშვებული არცერთი ენობრივი შეცდომა და/ან სტილისტიკური ხარვეზი. ---------- 1ქ.
დაშვებულია ერთი ენობრივი შეცდომა და/ან სტილისტიკური ხარვეზი. ---------- 0ქ.

II. ქართული ლიტერატურა

9. ---------- ა)
10. ---------- გ)
11. ---------- გ)
12. ---------- ზ)
13. ---------- გ)
14. ---------- ა)
15. ---------- გ)
16. ---------- ა)
17. ---------- გ)
18. ---------- ზ)
19. ---------- ბ)
20. ---------- გ)
21. ---------- გ)
22. ---------- ბ)
23. ---------- გ)

III. მხატვრული ტექსტის ანალიზი

დავალების მაქსიმალური ქულაა **20.**

ნაშრომი, რომელიც **100 სიტყვაზე** ნაკლები მოცულობისა იქნება, არ შეფასდება და დაიწერება **0** ქულა.

I კრიტერიუმი

№	*ტექსტის ადეკვატური გაგება და გააზრება*	*ქულები*
1.	ტექსტი ***ადეკვატურადაა*** გაგებული და გააზრებული.	**2**
2.	ტექსტი ნაწილობრივ ***არაადეკვატურადაა*** გაგებული და გააზრებული.	**1**
3.	ტექსტი ***მთლიანობაში*** არაადეკვატურადაა გაგებული და გააზრებული.	**0 ნაწერი აღარ სწორდება**

II კრიტერიუმი

№	*ნაშრომის აგება*	*ქულები*
1.	ნაშრომი ***კარგადაა*** ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები ***სწორადაა*** გამოყოფილი.	**2**
2.	ნაშრომი ორგანიზებულია, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, თუმცა აბზაცები ***არასწორადაა*** გამოყოფილი, ანდა აბზაცები ***სწორადაა*** გამოყოფილი, მაგრამ ნაწილობრივ ***დარღვეულია*** ტექსტის ლოგიკა.	**1**
3.	ნაშრომში ***დარღვეულია*** ტექსტის ლოგიკა და/ან იგი ორგანიზებული ***არ არის.***	**0**

III კრიტერიუმი

№	*მსჯელობის დასაბუთება*	*ქულები*
1.	ნაშრომში ზუსტად არის წარმოჩენილი ტექსტის მთავარი სათქმელი; მსჯელობა ***დამაჯერებლადაა*** დასაბუთებული და არგუმენტები ***გამყარებულია*** შესაფერისი მაგალითებით.	**4**
2.	ნაშრომში წარმოჩენილია ტექსტის მთავარი სათქმელი; მსჯელობა მთლიანობაში დასაბუთებულია, თუმცა ***ცალკეულ*** შემთხვევებში არგუმენტები არადამაჯერებელია და/ან მოხმობილი მაგალითები ***არაადეკვატურია.***	**3**
3.	ნაშრომში წარმოჩენილია ტექსტის მთავარი სათქმელი, მაგრამ მსჯელობა ***ზერელეა, ხშირ*** შემთხვევაში არგუმენტები არადამაჯერებელია.	**2**
4.	ნაშრომში ნაწილობრივ არის წარმოჩენილი ტექსტის მთავარი სათქმელი, მსჯელობა ***ძალზე ზოგადია,*** არგუმენტების მოხმობისას ***დაშვებულია*** უზუსტობა.	**1**
5.	***არ არის*** წარმოჩენილი ტექსტის მთავარი სათქმელი, მსჯელობა დასაბუთებული ***არ არის.***	**0**

IV კრიტერიუმი

№	*ტექსტის მხატვრული ანალიზი*	*ქულები*
1.	ნაშრომში მკაფიოდაა წარმოჩენილი ნაწარმოების მხატვრული მხარე; დამაჯერებლადაა ნაჩვენები ავტორის მხატვრული სტილის თავისებურებები; მოხმობილია სათანადო მაგალითები.	**2**

2.	ნაშრომში ნაჩვენებია, რა მხატვრული საშუალებებით ახერხებს ავტორი ტექსტის მთავარი სათქმელის გამოხატვას, თუმცა მოხმობილია ერთი არასათანადო მაგალითი.	1
3.	ნაშრომში ***არ არის*** წარმოჩენილი ნაწარმოების მხატვრული მხარე.	0

V კრიტერიუმი

№	*კრიტიკული აზროვნება*	*ქულები*
1.	ნაშრომში ***მკაფიოდ*** ჩანს კრიტიკული აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა.	2
2.	ნაშრომში ***ნაწილობრივ*** ჩანს კრიტიკული აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა.	1
3.	ნაშრომში ***არ*** ჩანს კრიტიკული აზროვნების უნარი.	0

VI კრიტერიუმი

№	ფაქტობრივი სიზუსტე	*ქულები*
1.	ნაშრომში არ არის ფაქტობრივი შეცდომა.	1
2.	ნაშრომში დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომა.	0

VII კრიტერიუმი

№	*ლექსიკა და სტილი*	*ქულები*
1.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ***ზუსტად და მკაფიოდაა*** გამოხატული, ***შერჩეულია*** დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი და ***დაცულია*** ნაშრომის სტილისტიკური ერთგვაროვნება.	2
2.	***შერჩეულია*** დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი, აზრი ***გასაგებია,*** თუმცა ლექსიკა ***მწირია*** და/ან გვხვდება სტილისტიკური ხარვეზები.	1
3.	თხზულება ლექსიკურად და სტილისტიკურად ***გაუმართავია.***	0

VIII კრიტერიუმი

№	*სინტაქსი, მორფოლოგია, ორთოგრაფია*	*ქულები*
1.	ნაშრომში არ არის დაშვებული ***ერთზე მეტი*** ამ ტიპის შეცდომა.	3
2.	ნაშრომში არ არის დაშვებული ***სამზე მეტი*** ამ ტიპის შეცდომა.	2
3.	ნაშრომში არ არის დაშვებული ***ხუთზე მეტი*** ამ ტიპის შეცდომა.	1
4.	ნაშრომში დაშვებულია ***ხუთზე მეტი*** ამ ტიპის შეცდომა.	0

IX კრიტერიუმი

№	*პუნქტუაცია*	*ქულები*
1.	ნაშრომში არ არის დაშვებული ***ორზე მეტი*** ამ ტიპის შეცდომა.	2
2.	ნაშრომში არ არის დაშვებული ***ოთხზე მეტი*** ამ ტიპის შეცდომა.	1
4.	ნაშრომში დაშვებულია ***ოთხზე მეტი*** ამ ტიპის შეცდომა.	0